

საქართველოს სოც.



საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

პანონია და განკარგულებათა პრეზული

იუსტიციის სამსახურის კომისარის კაბინეტის

1929 წ. თებერვლის 28

№ 3

ნებისმიერი კირკვლი

თ ი ნ ა რ ს ი:

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

24. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.—სამელიორაციო ამხანაგობათა (წყლის ამხანაგობათა) დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება სამელიორაციო (წყლის) ამხანაგობათა შესახებ.

25. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.—სახელმწიფო სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა კუთხით სახლებში საცხოვრებელი სადგომების გაქირავების საფუძვლთა შესახებ.

26. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.—პერსონალური პენსიის დებულების დამტკიცებისა და სამოქმედი შემოღების შესახებ.

დებულება პერსონალური პენსიის შესახებ.

27. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.—თანამდებობის პირთა სადისციპლინო პასუხისმგებლობის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება თანამდებობის პირთა სადისციპლინო პასუხისმგებლობის შესახებ.

28. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.—საქართველოს სსრ სახელმწიფო ნორტის დებულების 46 მეტლის შეკვების შესახებ.

29. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.—სასამართლოს წყობილების დებულებისათვის 106¹ მუხლის დამატების შესახებ.

30. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.—მიწის კოდექსის შეცვლისა და დამატების შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

31. დადგენილება ს. კ. ს.—სახელმწიფო საფინანსო კონტროლის მიერ სათემო სარევიზო კომისიებისათვის ხელმშვიდობის გაწევისა და მათთან საქმიანი კავშირის დებულების“

დამტკიცებისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატთან ინსტრუქტორთა შტატის დაარსების შესახებ.

დებულება სახელმწიფო საფინანსო კონტროლის მიერ სათემო სარეეიზიო კომისიებისათვის ხელმძღვანელობის გაწევისა და მათთან საქმიანი კავშირის შესახებ.

32. დადგენილება ს. კ. ს.—საადმინისტრაცია-საგამგებლო ხარჯების გადიდების აკრძალვის შესახებ.

33. დადგენილება ს. კ. ს.—რეპუბლიკანურსა და ადგილობრივ ბიუჯეტში ჩასარიცხ გადასახადთა და გამოსალებთა გადახდის სფეროში ზოგიერთ ორგანიზაციისათვის შეღავათების მინიჭების შესახებ.

34. დადგენილება ს. კ. ს.—„სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოს მიერ უძრავი სასწავლებელთა მოსწავლეთა დანიმუშლის სტანდიდების მათებისე დატოვების თაობაზე“ 1927 წ. სექტემბრის 10-ს თარიღით გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების გაუქმების შესახებ.

35. დადგენილება ს. კ. ს.—ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოც. ეკონომიკური ფაკულტეტის მე-8 სკოლისტრის სტუდენტების (ეკონომიკურების) წარმოებითი სწავლებისათვის დაწესებულებასა და საწარმოში მიღების შესახებ.

36. დადგენილება ს. კ. ს.—საქართველოს სსრ-ში აეტომობილიზმისა და გზათა გაუმჯობესის ხელშემწყობ საზოგადოების („ავტოგზა“) ადგილობრივი გადასახადისა და გამოსალებისაგან, აგრეთვე სასამართლო ბაჟისა და სანოტარო გამოსალებისაგან განთავისუფლების შესახებ.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საკალხო კომისართა საჯარო დადგენილებანი.

24. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სამელიორაციო ამხანაგობათა (წყლის ამხანაგობათა) დებულების დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ და სამოქმედოთ შემოლებულ იქნეს შემდეგი დებულება სამელიორაციო ამხანაგობათა შესახებ.

2. ძალადაქარგულად ჩაითვალის:

ა) წყლის ამხანაგობათა დებულება, გამოცემული 1926 წ. აგვისტოს 1-ს (კან. კრებ. 1926 წ. № 4, მუხ. 92) და

ბ) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. აგვისტოს 21-ის დადგენილება „სამელიორაციო ამხანაგობათა შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ. 1928 წ. მე-12 №-რი, მუხ. 120).

სრულიად საქართვ. ცენტრალური აღმ.

კომიტეტის თავმჯდომარე ფ. შახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს

თავმჯდომარის მთადგილე გ. მგალობლივილი.

სრულიად საქართვ. ცენტრალური აღმ.

კომიტეტის მდივანი ი. ვარძიელი.

1929 წ. იანვრის 16.

ტფილის-სახლე.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სამელიორაციო (წყლის) ამხანაგობათა შესახებ.

1. სამელიორაციო ამხანაგობა მოწყობა, რათა შეერთებული ძალით ააგოს, საექსპლოატაციოდ გამოიყენოს და წესიერად შეინახოს ახალი ან უკვე არსებული ჰიდრო-ტენიკური სისტემებთ, რომელთა დანიშნულებაა მიწის მორწყვა-ამოშრობა, მინიარებისა, არხებისა და ხრამების ნაპირთა გამაგრება, წყლის მიწოდება და სხვ.

2. სამელიორაციო ამხანაგობას შეუძლიან აგრეთვე აწარმოოს ყოველგვარი სასოფლო-სამეურნეო ოპერაცია, ე. ი. შეისყიდოს სასოფლო-სამეურნეო მანქანები და იარაღები, მიწის ხელოვნური სასუქი და ინტეკტისიდი, დაიმუშაოს კოლექტიურად მიწი, შემოილოს უფრო სარენტაბელო მცნარეული კულტურები, გადაამუშაოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, მოაწყოს ამ პროდუქტების გასაღების საქმე და სხვ.

3. ამხანაგობის წევრად შეიძლება იყოს ყველა ის, ვინც ხეარობს წყალს ჰიდრო-ტენიკური სისტემის სამოქმედო რაონში და აგრეთვე ის მიწის-მოსარგებლები, რომლის მიწაზე ჰიდრო-ტენიკური ნაგებობა მოქმედობს.

4. სამელიორაციო ამხანაგობა მოწყობა ნებაყოფლობითი შეთანხმებით არა ნაკლებ, ვიდრე იმ წყლის-მოსარგებლეთა და მიწის-მოსარგებლეთა საერთო რიცხვის ნახევრისა, რომელთა მიწებისათვისაც სასარგებლოა ან სასარგებლო იქნება უკვე აგებული ან სასახელი ჰიდრო-ტენიკური სისტემის მოქმედება. აღნიშნული პირი ჩაითვლებით ამხანაგობის დამუშავებლებად და თავის დადგენილებას ამხანაგობის დაარსების შესახებ წარუდგენენ დასამტკიცებლად საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს, რომელიც ამ საკითხის გადწყვეტას შეუთანხმებს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატს და „სოფლის-კუშის“.

5. უკეთ ცნობილი იქნება, რომ განზრახულ ჰიდრო-ტენიკურ ნაგებობას განსაკუთრებულად დიდი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ რაონის მცხოვრებთა ერთ-მეტთედს შეუძლიან, საქართველოს წყალთა მეურნეობის სამშროველოს მეშვეობით, აღმას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე შუამდგრმლობა წყლის ამხანაგობის დაარსებისათვის ნებართვის მიუწის შესახებ; ამასთანავე ამხანაგობის დაარსება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მის შემდეგ, როდესაც საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველო მიიღებს სახალხო კომისართა საბჭოსაგან სათანადო დასტურს.

6. აღნიშნული რაონის დანარჩენი წყლის-მოსარგებლენი და მიწის-მოსარგებლენი, რომელთათვისაც სასარგებლოა ჰიდრო-ტენიკური ნაგებობის მოქმედება, იძულებით ჩაირიცხებით ამხანაგობის წევრად და ამ გზით ჩაიბმებიან ამხანაგობის საქმიანობაში.

7. ყოველგვარი ჰიდრო-ტენიკური სისტემისა და ნაგებობის მოწყობისა და ამ სისტემის წესიერად შენახებისა, რემონტისა და ექსპლოატაციის საქმეში სამელიორაციო ამხანაგობა ემორჩილება საქართველოს წყალთა მეურნეობის სამ-

მართველოს, ხოლო სასოფლო-სამეურნეო მუშაობის სხეა დარგებში — „სოფლის კავშირს“.

8. სამელიორაციო ამხანაგობა შედის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის „სოფლის კავშირის“ სისტემაში.

9. „სოფლის კავშირი“, მიწათმოქმედების სახ. კომისარიატთან შეთანხმებით, ხელმძღვანელობას უწევს სამელიორაციო. ამხანაგობის აგრიკულტურულ მუშაობას.

10. „სოფლის კავშირი“ ზედამხედველობას უწევს სამელიორაციო ამხანაგობას, რათა იგი ყველა თავის ხარჯს დადგენილი წესით აწარმოებდეს და ანგარიშებში ატარებდეს და რათა, საერთოდ, შემოსავალ-გასასვლის ყოველგვარი ანგარიში სწარმოებდეს საბუქხალტრო წესით და მას დართული ჰქონდეს სათანადო გამართლებელი დოკუმენტები.

11. საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველო და „სოფლის კავშირი“ — ერთად შეიმუშავებენ წესს სამელიორაციო ამხანაგობათა მოქმედების ყოველწლიური რევიზიისათვის და თვითოვე მოახდენენ ამ რევიზიას.

12. ყოველგვარ წინასწარ კვლევას, მაგალითად ჰიდრო-ტეხნიკურს, გეოლოგიურს, ტოპოგრაფიულს, გეო-ბორანიკურს და აგრო-კულტურულს, აგრეთვე ანალიზებს ამა თუ იმ სახის მელიორაციის თაობაზე მოახდენს საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველო, მიწათმოქმედების სახ. კომისარიატთან შეთანხმებით. საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს მიერვე შედგენილი იქნება ამა თუ იმ მუშაობის გეგმა, პროექტი და ხარჯთაღრიცხვა.

13. ჰიდრო-ტეხნიკურ მუშაობას აწარმოებს საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს პარატი ან სამელიორაციო ამხანაგობა ონიშნული სამართველოს თანხმობით და მისი უშუალო ტეხნიკურ ზედამხედველობათ.

14. საქართველოს ბასოფლო-სამეურნეო ბანკი გასცემს სესხს სამელიორაციო ფონდიდან, წესდების თანახმად, საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს და „სოფლის კავშირის“ მიერ შედგენილი გეგმის საფუძველზე.

15. სამელიორაციო ამხანაგობა შეაღენს ჰიდრო-ტეხნიკურ ნაგებობათა ყოველწლიური რემონტისა და ამ ნაგებობათა ექსპლოატაციის პროექტებს, წყლის სარგებლობის პროექტს, ხარჯების გასაშევად საჭირო გამოსალების დადგინისა და სამელიორაციო კრედიტის დაფარვის წესის პროექტებს და წარუდგენს დასამტკიცებლად საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს.

16. ამხანაგობიდან გასვლა შეუძლიან მბოლოც იმ წევრს, რომელმაც დაჰკარგა ამხანაგობის სამოქმედო რიცხვში მიწის ან წყლის სარგებლობის უფლება.

17. ამხანაგობის გამგეობის სხდომებში სათაბირო ხმის უფლებით მონაწილეობას იღებენ სისტემის ან სისტემების გამგე, რომელიც ტეხნიკურ საკითხებში ემორჩილება საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს, და აგრეთვე ადგილობრივი აგრონომი.

შენიშვნა: სისტემის ან სისტემების გამგეს დანიშნავს საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველო ამხანაგობის რწმუნებულთა საერთო კრებასთან ან ამხანაგობის გამგეობასთან შეთანხმებით.

18. სამელიორაციო ამხანაგობას, მის წესდებაში აღნიშნული მიზნების განსახორციელებლად, შეუძლიან თავისი სახელით შეიძინოს და გაასხვისოს ქონება, იქისროს ვალდებულება, ისარჩელოს და პასუხი აგოს სასამართლოში და საერთოდ იმოქმედოს ზოგადი კანონების ფარგლებში, როგორც იურიდიულად უფლება-მოსილმა პირმა.

19. ამხანაგობა ყველა ნაკისრი ვალდებულებისათვის პასუხს აგებს მესამე პირთა წინაშე მთელი თავისი ქონებით.

ამხანაგობის თვითეული წევრი პასუხისმგებელია მესამე პირთა წინაშე მთელი თავისი ქონებით არა უმეტეს საპაიო შენატანის რაოდენობისა ერთი სამად ამხანაგობის ყველა იმ ვალდებულებისათვის, რაც წარმოიშეა როგორც ამხანაგობაში მისი წევრად ყოფნის დროს; ისე ამხანაგობაში შესვლამდეც.

შენიშვნა 1. საპაიო შენატანს განსაზღვრავს ამხანაგობის საერთო კრება სარწყავი მიწის სიერცის პროპრიეტონალურად ან. იმისდა მიხედვით, თუ რა სარგებლობას იღებს წევრი ჰიდრო-ტეხნიკური ნაგებობის მოქმედობით.

შენიშვნა 2. ამხანაგობის პასუხისმგებლობის ობიექტად არ შეიძლება იყოს არც ერთი ჰიდრო-ტეხნიკური ნაგებობა და არხის მოწყობილობა, აგრეთვე მთელი ის ინვენტარი და შენობები, ურომლებოთაც სისტემა სწორედ ვერ იმოქმედებს.

20. ამხანაგობა აწესდებს:

ა) საქმეში ამხანაგების მონაწილეობის ფორმას და წესს (შრომით, ფულით, მასალით და სხვ.);

ბ) თვითეული ამხანაგის საპაიო შესატანს:

გ) საპაიო შესატანის რაოდენობის შეცვლას (გაღიდება ან შემცვერება) და სხვა ვალდებულებას, რაც არ ეწინააღმდეგება კანონს და რაც აუცილებელია ამხანაგობის მინჯების მისალწევად.

21. უკეთ ამხანაგობას წევრი თავს აარიდებს თავის მოვალეობათა შესრულებას, რაც-ეს მის ხევით გადასახდელთა შეტანას შექება, ამხანაგობას უფლება აქვთ უდავო წესით გადასახდევინოს მას ეს შესატანი; ხოლო, უკეთ ამხანაგობის წევრი თავს აარიდებს გაზევების დადგენილებით წარმოებულ საერთო მუშაობას, ამხანაგობას შეუძლიან იმ სამუშაოს შესასრულებლად, რაც კი განრიდგებულ წევრს უნდა გაეკეთებინა, დაიქირაოს მუშა-ძალი და ამით გამოწვეული ხარჯი გადახდევინოს მას უდავო წესათ.

22. ამხანაგობის დადგენილება მე-1! მუხლში აღნიშნული გადასახდელის უდავო წესით გადახდევინების შესახებ ასრულებდა სათანადო აღმასკომის მეშვეობით, „გადასახადთა აკრეფის დებულების“ მე-15 და 17 მუხ. დაცვით.

23. თავისი მოქმედებისათვის ამხანაგობა იხელმძღვანელებს ყველა მომქმედ კანონს, ამა დებულებას და თავის წესდებას.

24. ამხანაგობის ღიაკეილაცია მოხდება: ა) ვაღის გასვლამდე — ყველა მისი წევრის მიერ ერთხმად მიღებული და სოფლის კავშირისა და საქართველოს წყალთა მეურნეობის სამართველოსაგან დადასტურებული გადაწყვეტილებით;

ბ) საქართველოს წყალთა მეურნეობის სამართველოსი და „სოფლის კავშირის“

გადაწყვეტილებით, რაც დამტკიცებულ უნდა იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ; გ) უკეთე ამხანაგობა, ერთი წლის განმავლობაში დაარსების დღიდან არ შეუდგება თავის მუშაობას და დ) დასახული მიზნის საბოლოოდ განხორციელების შემდეგ.

25. ამხანაგობას აქვს ბეჭედი თავისი სახელწიფების წარწერით.

26. ამხანაგობის წესდება. რეგისტრაციაში გატარებულ უნდა იქნეს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის საადგილმამულო განყოფილებაში ამხანაგობის სამყოფელი იდგილის მიხედვით; ამასთანავე რეგისტრაციაში გატარებული წესდების ასლს საადგილმამულო განყოფილება გაუგზავნის, ერთი კვირის ვადაზე რეგისტრაციის დღიდან, „სოფლის კავშირს“ და საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს.

25. დადგინდება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სახელმწიფო-სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა კუთვნილ სახლებში საცხოვრებელი სადგომების გაქირავების საფუძველთა შესახებ.

სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. აგვისტოს 20-ს დადგენილების (სსრკ კან. კრებ. 1928 წ. 54 №-ი, მუხ. 487) თანახმად და საქართველოს სსრ-ის სამოქალაქო კოდექსის 156 მუხლით განსაზღვრული წესების გამონაკლისად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სახელმწიფო სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა კუთვნილ სახლებში სათანადო საწარმოთა მომუშავეთათვეს საცხოვრებელი სადგომების მიცემის ზოგადი პირობები განისაზღვრება ამ საწარმოთა მიერ პროფესიონალურ კავშირებთან დადებული კოლექტიური ხელშეკრულებით ან სპეციალური შეთანხმებით.

საცხოვრებელი სადგომები იღნიშნულ სახლებში ცალკე დამქირავებელთ მიეცემა საწარმოთა მიერ მათთან დადებული ინდივიდუალური ხელშეკრულების საფუძველზე.

2. ინდივიდუალურ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული უნდა იყოს:

ა) საცხოვრებელი სადგომის ქირავობის ვადა, რაც სასეზონო და დროებითი მუშებისათვის უნდა შეესაბამებოდეს იმ ვადას, რა ვადითაც ეს მუშები დაქირავებული არიან. ხოლო ყველა სხვა კატეგორიის მუშებისა და მოსამსახურებისათვის ეს ვადა არ უნდა იყოს ერთ წელიწადზე ნაკლები;

ბ) დამქირავებლის წინასწარ გასაფრთხილებლად საჭირო ვადა, რომ ბინის ქირავობის ხელშეკრულება განგრძობილ არ იქნება; ეს ვადა არ უნდა იყოს: სასეზონო და დროებითი მუშებისათვის ორ კვირაზე ნაკლები, ხოლო ყველა სხვა კატეგორიის მუშებისა და მოსამსახურებისათვის — სამ თვეზე ნაკლები ქირავობის ვადის გასვლამდე;

გ) უკეთე დამქირავებელს უარი ეთქმის საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების განგრძობაზე, მისი ხელშეკრულების ვადის გასვლის გა-

მო, სადგომიდან გამოსახლება არ შეიძლება მოხდეს ნოემბრის 1-დან დაწყებული პერიოდის განძვლობაში, ვიდრე აპრილის 1-მდე;

(დ) უკუთუ დამქირავებელს უარი ეთქმის ხელშეკრულების განგრძლობაზე იმის გამო, რომ შრომის კონკრეტული კოდექსის 36 და 37 მუხლებში, 47 მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტებში და 48 მუხლში იღნიშნულ საცუდევლთა მიხედვით, იგი დათხოვნილი იქნება სათანადო საწარმოში მუშაობიდან, აგრეთვე დათხოვნილი იქნება ინვალიდობის გამო, მას უნდა მიეცეს სადგომის განსათავისუფლებლად სამი თვეის ვადა დღიდან შრომის ხელშეკრულების მოშლისა;

(ე) სადგომის ქირისა და საწარმოს მიერ გასაშევი კომუნალური მოსამსახურების სასკიდლის რაოდენობა, ამ მოსამსახურების ნორმის აღნიშვნით;

(ვ) საწარმოს მოვალეობის ფარგალი საცხოვრებელი სადგომის რიგზე შენახვისა, რემონტის მოხდენისა, საერთო სარგებლობის ადგილების გაწმენდისა და სუფთად შენახვისა, უწმინდურობის ორმოებისა და საპირფარეშოების ვაწმენლისა, აგრეთვე სიჯარო ფასისა, დაზღვევისა და გადასახადთა გადახდისა;

(ზ) დამქირავებლის მოვალეობის ფარგალი მის მიერ დაპერილი სადგომის სუფთად და რიგზე შენახვისა და დამქირავებლისავე მოვალეობა მისი მიზნებით გაფუჭებული სადგომის შეკეთების ხარჯის ანაზღაურების შესახებ;

(თ) სასამართლოს წესით ვადამდე დამქირავებლის გამოსახლების შესაძლებლობა, უკუთუ იგი კეთილსინდისიერად არ შესარულებს მასზედ ხელშეკრულებით დაკისრებულ მოვალეობას სადგომის რიგზე შენახვის შესახებ, ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა მოვალეობას;

(ი) დამქირავებლის მოვალეობა, რომ მან ვადის გასვლისას უნდა გაანთავისუფლოს სადგომი და ვადა ამ შემთხვევაში წინასწარ გაფრთხილებისა გამოსახლის შესახებ;

(კ) აუცილებელი აკრძალვა დამქირავებლისათვის სადგომის სხვაზე გაჭირავებისა.

3. დაგილობრივი საბჭო ვალდებულია მისცეს მუნიციპალური ფონდის სახლებში საცხოვრებელი სადგომები სახელმწიფო სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა კუთვნილ სახლებში საცხოვრებელი სადგომების დამქირავებელთ, უკუთუ ისინი გაანთავისუფლებენ ამ სადგომებს ქირავნობის ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო, აგრეთვე მისცეს მათ საცხოვრებელი სადგომები სამანევრო ფონდის სახლებში იმ შემთხვევაში, როდესაც დამქირავებლებმა თავიანთი სადგომები უნდა დასკარონ შრომის ხელშეკრულების მოშლის გამო, ან ნამდევილ სამხედრო სამსახურში ვაწვევისა, ხანგრძლივი ივადმყოფობისა, ინვალიდობისა, რაციონალიზაციით გამოწვეული მასიური შეკრირებისა ანდა სხვა ამგვარი გარემოების გამო.

შენიშვნა. დამქირავებლისათვის მიცემული აზალი საცხოვრებელი სადგომი უნდა შეესაბამებოდეს დაწესებულ საცხოვრებელი სივრცის სირმებებსა და სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებს; ამასთანავე, ეს უკანასკნელი გარემოება, უკუთუ გამოსასახლებელი მდგმური მოითხოვს, დადასტურებულ უნდა იქნეს სასანიტარო ინსპექციის მიერ.

4. დამქირავებლის გამოსახლება მის მიერ დაკერილი საცხოვრებელი სად-
გომიდან მოხდება სასამართლოს წესით, ხოლო იმ შემთხვევაში, რაც გათვალის-
წინებულია სრულიად საქართველოს ცენტრალური ომისარულებელი კომიტე-
ტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. მარტის 20-ს
დადგენილებით (საქართველოს სსრ კან. კრ. 1927 წ. მე-3 №-ი, მუხ. 531) და
ამიერავეჯასის ცენტრალური ომისარულებელი კომიტეტის 1925 წ. თებერვ-
ლის 2-სა და ოქტომბრის 12-ს დადგენილებით (ა/ქსუსრ კან. კრებ. 1925 წ.
მე-2 №-ი, მუხ. 360 და მე-10 №-ი, მუხ. 521)—აღმინისტრატიული წესით.

5. იუსტიციის სახალხო კომისარიატმა, სახალხო მეურნეობის უმაღლეს
საბჭოსთან და შრომის სახალხო კომისარიატთან ერთად, უნდა შეიმზაოს, ამა
დადგენილების თანახმად, ტიპიური ხელშეკრულება სახელმწიფო სამრეწველო და
სატრანსპორტო საწარმოთა მიერ მათ კუთხით სახლებში საცხოვრებელი სად-
გომიების გატირავების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრ. ომისა-
რულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე გ. მგალობლივილი.

სრულიად საქართველოს ცენტრ. ომისარუ-
ლებელი კომიტეტის მდივანი ი. ვაჩაჩავლი.

1929 წ. იანვრის 16.
ტუილისი—სასახლე.

26. დ ა დ გ ვ ნ ი ლ ე ბ ა ც . ა . კ . დ ა ს . კ . ს

პერსონალური პენსიის დებულების დამტკაცებისა და სამოქმედოდ
შემოღების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური ომისარულებელი კომიტეტი და სა-
ქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკაცებულ და სამოქმედო შემოღებულ იქნეს საქართველოს სსრ-ისა,
აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისარინის აეტონიმიტრი სსრ-ის და სამხრეთ-ოსეთის
ავტონ. ოლქის ტერიტორიაზე შემდეგი „დებულება პერსონალური პენსიის შე-
სახებ“.

2. ზემოაღნიშნული, „პერსონალური პენსიის დებულების“ სამოქმედოდ შე-
მოღებისთანავე გაუქმებულ იქნეს: ა) საქართველოს სსრ რევოლუციონური კო-
მიტეტის 1921 წ. აგვისტოს 21-ის დებულება „მეცნიერებისა და ხელოვნების
დარგში დამსახურებულ მოღვაწეთა“ სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“
„მოამბე“ 1921 წ. № 16), ბ) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. აგვისტოს 25-ს თარიღისა და 105 №-ის დადგენილება „იმ პირთა უზ-
რუნველყოფის შესახებ, რომელთაც განსაკუთრებული ლაშტლი მიუძღვით სა-

სახელმწიფოს წინაშე და რომელთაც შრომის უნარი დაუკარგავთ" (კან. კრებ. 1923 წ. № 2) და ვ. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1925 წ. აპრილის 15-ის თარიღისა და მე-19 №-ის დადგენილება – ცენტრალური კომისიის დაარსების შესახებ იმ პირთათვის პენსიის დასაწინავად, რომელთაც განსაკუთრებული ღვაწლი მოუძღვით სახელმწიფოს წინაშე" (კან. კრ. 1925 წ. მე-2 №-რი, მუხ. 31).

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმას-
რულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მაჩარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე ვ. მგალობლიშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრუ-
ლებელი კომიტეტის მდგარი ი. ვარძიელი.

1929 წ. იანვრის 16.
ტფილია—სასახლე.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

პერსონალური პენსიის შესახებ.

840

ვ ა რ ი I.

იმ პირთა წრე, ვინც უზრუნველყოფილ უნდა იქნეს პერსონალური პენსიით.

1. პერსონალური პენსია დაენიშნება იმ პირს, რომელსაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის რეოლოგიურნური, სახელმწიფო მოღვაწეობისა და რეკორდი, სამეცნიერო ან კულტურული მოღვაწეობის დარღვევი.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული პირის გარდაცალების შემდეგ პერსონალური პენსია დაენიშნება მისი ოჯახის იმ წევრის, რომელიც გარდაცალებულის რჩე-ნაშე იმყოფება მისი გარდაცალების მომენტში და რომელსაც შრომის უნარი არა აქვს, სახელმობრ: ა) შეიღს, ძმას და დას 18 წლამდე; ბ) შრომის უნარ-მოყენებულ მშობელს და მეუღლეს, რომელიც კუთხითის ინალიცების პირველ სამ ჯერა, ან მათ შორის მამაკაცს, რომელსაც უკვე შესრულებია 55 წელი, ხოლო ქალს — 50 წელი; აგრეთვე გარდაცალებული პენსიონერის თურდაც შრო-მისუნარიან მეუღლეს, უკეთ იგი უვლის გარდაცალებულის შეიღებს, რომელ-თაც ჯერ რვა წელი არ შესრულებით; გ) სრულშელოვან შეიღს, ძმას და დას, უკეთ მას შრომის უნარი დაუკარგავს 18 წლის ასაკის მიღწევამდე.

შენიშვნა. გარდაცალებული პენსიონერის მოსწავლე შეიღებს კომი-
მისიას შეეძლიან, ყოველ ცალკე შემთხვევაში განსაკუთრებული დადგენი-
ლებით, გაუგრძელოს პენსიის მიღების ვადა სწავლის დამთავრებამდე,
ხოლო არა უბანგრძლოვეს 25 წლის ასაკიმდე მიღწევისა.

გარდაცალებას მიეთანაბრება უკალოდ დაკარგვა.

3. პერსონალური პენსია მიეცება: а) 1-ლ მუხლში აღნიშნულ პირთ და ოჯახის ზრომის უნარმოქლებულ წევრთ—სიკედილამდე; ბ) დანარჩენთ—ვიდრე ამა დებულების მე-2 მუხლში და მის შენიშვნაში აღნიშნული გარემოება შეიქმნებოდეს.

ვარ Ⅱ.

პერსონალური პენსიის დანიშვნის წესი.

4. პერსონალური პენსიის დანიშვნის შესახებ აღძრულ შუამდგომლობათა განსახილველად საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან მოეწყობა პერსონალური პენსიების დამნიშვნელი კომისია. ამ კომისიაში შევლენ: თავმჯდომარე—სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარი ან მისა მოადგილე, ხოლო წევრებად: ფინანსთა, შრომისა და განათლების სახალხო კომისარიატებისა, აგრეთვე პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს წარმადგენელი, რომელთაც პერსონალურად დანიშნავს სახალხო კომისართა საბჭო. კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას დამტკიცებს სახალხო კომისართა საბჭო.

5. შუამდგომლობას პერსონალური პენსიის დანიშვნის შესახებ აღძრავს ის ცენტრალური ორგანო, რომელიც ეხება ამა დებულების 1-ლ მუხლში აღნიშნულ პირთა მოლვაწეობა, ან პროფესიონალურ კავშირთა საბჭო.

6. ამა დებულებით დადგენილი წევბებისა და რიგის გამონაკლისად პერსონალური პენსიის დანიშვნა შეიძლება მხოლოდ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დასტურით.

ვარ Ⅲ.

პერსონალური პენსიის ნორმები.

7. პერსონალური პენსიის ყოველთვიურ რაოდენობას განსაზღვრავს კომისია იმისდაც მიხედვით, თუ რა ხასიათისაა დამსახურება, რამდენად დაუკარგავს პენსიონერს შრომის უნარი, რა ჩვეულებრივი სამუშაო საშოვარი ჰქონდა მას შრომის უნარის დაკარგვის და რამდენი სულია ოჯახში უზრუნველყოფი (მე-2 მუხ.), ხოლო ეს პენსია არ უნდა აღმატებოდეს სათანადო ადგილის პასუხისმგებელ პოლიტიკურ მომუშავეთა ტარიფის თვენახევრის ძირითადი უმიალესი განაკვეთის რაოდენობას.

8. უკეთე პენსიონერის საშოვარი საშოვარი, მისთვის დანიშნული პერსონალური პენსიოთურთ, აღმატება წინა მუხლში აღნიშნულ მაქსიმალურ რაოდენობას, პერსონალური პენსია შეიძლება შესაფერისად შემცირებულ რქნეს.

9. უკეთე ის პირი, ვინც პერსონალურ პენსიის იღებს ან ცნობილია ასეთი პენსიის ლირსად, გარდაიცვალა, მის ოჯახს დაენიშვნება: თუ ოჯახში ერთია შრომის უნარმოქლებული—იმ პენსიის ნახევარი, რასაც გარდაცვალებული იღებდა ან რაც შეიძლება მას მიეღო, თუ ორი—ამ პენსიის ორი მესამედი, ხოლო თუ სამია ან მეტი—სრული პენსია.

10. პენსიონერის მიერ საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა არ გამოიწვევს პენსიის რაოდენობის შეცვლას.

ვარ Ⅳ.

სახსარი პენსიის დანიშნისათვის და პენსიის მიცემის წესი.

11. ამა დებულების წესისამებრ დანიშნული პენსია გაიცემა სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვით საამისოდ გადადებული სახელმწიფო სახსარიდან.

12. უკით პერსონალური პენსია დანიშნა იმ პირს, რომელსაც აქვს სოციალური დაზღვევის წესით პენსიის მიღების უფლება, სოციალური დაზღვევის ორგანო შეიტანს ხაზინის შემოსავალში სათანადო ხარჯთაღრიცხვით ისეთ თანხას, რაც უდრის ნორმალურ სადასაზღვევი უზრუნველყოფის რაოდენობას.

13. პერსონალური პენსია გაიცემა ყოველთვიურად ფინანსთა სახალხო კომისარიატის იმ ადგილის სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროს მეშვეობით, რომელსაც თვით პენსიონერი დაასახელებს.

ვარ Ⅴ.

ინსტრუქცია ამა დებულების შესაფარდებლად.

14. სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი, ფინანსთა და შრომის სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით, გამოსცემს იმსტრუქციას ამა დებულების შესაფარდებლად.

27. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

თანამდებობის პირთა სადისციპლინო პასუხისმგებლობის დებულების დაზტყიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება თანამდებობის პირთა სადისციპლინო პასუხისმგებლობის შესახებ.

2. გაუქმდებულ იქნეს საქართველოს სსრ რევოლუციონური კომიტეტის 1921 წლის ივნისის 14-ს თარიღისა და 55 №-ის დეკრეტი — რესპუბლიკის საბჭოთა დაწესებულებების მოსამსახურეთათვის დისციპლინარული და აღმინისტრატიული წესით დასადეგ გადასახდელთა შესახებ და სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1924 წ. ნოემბრის 18-ს თარიღისა და 122 №-ის დადგენილებით დამტკიცებული დებულება დისციპლინარულ სასამართლოთა შესახებ; ძალადაქარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ რევოლუციონური კომიტეტის 1921 წ. ნოემბრის 26-ს დებულება — სადისციპლინო ამასაგურ სასამართლოთა შესახებ.

3. სადისციპლინო სასამართლოებში წარმოებული ყველა საქმე, რაც დამთავრებული არ არის, გადაეცეს შემდგომი წარმოებისათვის საერთო სასამართლო დაწესებულებათ — კუთვნილებისამებრ.

3. წინადადება მიეცეს აფხაზეთის სსრ-ისა და ავტონომიური სსრ-ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის გამოსცენ ამა დებულების საფუძველზე, ადგილობრივ პირობათა მიხედვით, სათანადო დებულებამი, ხოლო სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს — გამოსცეს სათანადო დადგენილება და წარუდგინოს იგი დასამტკიცებლად სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

სრულიად საქართველო ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს

თავმჯდომარის მოადგილე გ. მგალობლიშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ი. ვარძიელი.

1929 წ. იანვრის 16.

ტფილისი — სასახლე.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თანამდებობის პირთა სადისციპლინო პასუხისმგებლობის შესახებ.

I. ზოგადი დებულებანი.

1. სადისციპლინო გადასახდელი დაიდება ისეთი სამსახურებრივი მცირედანაშაულისათვის — არა სათანადო მოქმედებისა ან სამსახურებრივი უმოქმედობისათვის, რაც არ იშვევს სისხლის სამართლის კოდექსით დაწესებულ სოციალური დაცვის ლონისძიებას.

2. სადისციპლინო გადასახდელი დაიდება:

ა) სასამართლოს მიერ და ბ) ხელქვეითობის წესით.

3. სადისციპლინო გადასახდელად ჩაითვლება:

ა) გაფრითილება;

ბ) შენიშვნა;

გ) საყვედური;

დ) ერთი თანამდებობიდან მეორე შესაფერ თანამდებობაზე გადაყვანა;

ე) უფრო დაბალ თანამდებობაზე ჩამოყენება;

ვ) თანამდებობიდან დათხოვნა.

4. შინაგანი წესრიგის დარღვევისათვის თანამდებობის პირს დაედება ისეთი სადისციპლინო გადასახდელი, რაც გათვალისწინებულია შინაგანი წესრიგისათვის შრომის მომქმედი კანონმდებლობის თანახმად გამოცემული წესებით.

5. სადისციპლინო გადასახდელი დაიდება მხოლოდ იმის შემდეგ, რაც პასუხისმგებაში მიცემულ პირს მოეთხოვება ახსნა-განმარტება და შემოწმებულ იქნება მის მიერ დასახლებული ისეთი გარემოებანი, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმისათვის.

6. სადისციპლინო გადასახდელის დადება გატარებულ იქნება, იმ პირის პირად საქმეში, ვისაც იგი დაედო და გამოტანდება დაწესებულებასა ან საწარმოში პრესაში გამოქვეყნებით ან უამისოდ.

7. სადისციპლინო გადასახდელი შეიძლება დაედოს დამნაშავეს მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში დღიდან სამსახურებრივი მცირე დანაშაულის ჩადენისა.

შენიშვნა. ის დრო, რომლის განმავლობაშიც სისხლის სამართლის საქმე სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოებში სწარმოებდა, არ ჩიორიცხება ამა მუხლით გათვალისწინებულ ვადაში.

8. უკეთუ ერთი წლის განმავლობაში სადისციპლინო გადასახდელის დადების შემდეგ იმავე პირს არ დაედო ახალი სადისციპლინო გადასახდელი, დადგენილება სადისციპლინო გადასახდელის დადების შესახებ ჩაითვლება ძალადადაკარგულად, ხოლო ის პირი, ვისაც გადასახდელი დაედო, იგულისხმება ისე, ვითომც მას გადასახდელი არა ჰქონდეს დადებული.

II. სადისციპლინო გადასახდელის დადება სასამართლოს მიერ.

9. სასამართლოს მიერ სადისციპლინო გადასახდელი დაიდება შემთხვევებში:

ა) უკეთუ მცირე დანაშაული იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მისი გადაცემ სასამართლოსათვის მიზნებშეწონილად იქნება ცნობილი და ბ) უკეთუ, მის შემდეგ, როდესაც სასამართლო მოსპობს თანამდებობრივი დანაშაულის საქმეს ან გამართლებს ბრალდებულს ისეთ საქმეზე, აღმოჩნდება, რომ ბრალდებულს სადისციპლინო მცირე დანაშაული ჩაუდენია.

10. სადისციპლინო მცირე დანაშაულისათვის სასამართლო წესით დევნის აღმერა შეუძლიან ისეთ პირს და ორგანოს, ვისაც მინიჭებული აქვს სადისციპლინო გადასახდელის დადების უფლება ხელქვეითობის წესისამებრ (მუხ. 14), აგრეთვე სასამართლოს ორგანოებს, საპროკურორო ზედამხედველობას, მუშათა და გლეხთა ინსპექციისა და სახელმწიფო საფინანსო კონტროლის ორგანოებს.

შენიშვნა. სასამართლო ორგანოებმა (მე-9 მუხ. „ბ“ პუნქტში გათვალისწინებული შემთხვევის გარდა), საპროკურორო ზედამხედველობამ, მუშათა და გლეხთა ინსპექციისა და სახელმწიფო საფინანსო კონტროლის ორგანოებმა მათ მიერ სადისციპლინო დევნის აღმერა უნდა აცნობონ სათანადო უწყებას.

11. სადისციპლინო დევნის აღმერა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, სახალხო კომისართა საბჭოს ან ეკონომისტი საბჭოს წინააღმდეგ შეიძლება მხოლოდ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის ან სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით—კუთვნილებისამებრ.

12. საქმეს თანამდებობის პირის საღისციპლინო მცირე დანაშაულის შესახებ განიხილავს სახალხო სასამართლო და სათანადო შემთხვევაში (სისხლ. სამ. საპრ. კოდ. 448 მუხ. მე-2 და 3 პუნქტ.) — უზენავსი სასამართლო.

ამა დადგენილების 9 მუხ. „ბ“ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საღისციპლინო გადასახდელს დაადებს ის სასამართლო, რომელიც აწარმოებს სისხლის სამართლის საქმეს.

13. საღისციპლინო მცირე - დანაშაულის საქმე განიხილება სამსჯავრო სხდომაზე.

III. საღისციპლინო გადასახდელის დადება ხელქვეითობის წესისამებრ.

14. საღისციპლინო გადასახდელს ხელქვეითობის წესისამებრ დაადებს:

ა) ცენტრალური ამასრულებელი კომიტეტისა, სახალხო კომისართა საბჭოს ან ეკონომიური საბჭოს წევრის — სრულიად საქართველოს ცენტრალური ოღმასრულებელი კომიტეტის დებულების მე-40 მუხ. წესისამებ „მოაბე“ 1925 წ. 1—2 №-ი), — სრულიად საქართველოს ცენტრალური ოღმასრულებელ კომიტეტი ან მისი პრეზიდიუმი, ხოლო სახალხო კომისართა საბჭოს ან ეკონომიურ საბჭოს იმ წევრის, რომელიც ცენტრალური ოღმასრულებელი კომიტეტის წევრი არ არის, — სახალხო კომისართა საბჭო; ბ) ოდგილობრივი საბჭოს და ოღმასრულებელი კომიტეტის წევრს — სათანადო საბჭო ან ოღმასრულებელი კომიტეტი და მისი პრეზიდიუმი, ცენტრალური ოღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი და სახალხო კომისართა საბჭო; გ) ოღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს — ზემდგომი ოღმასრულებელი კომიტეტი, ცენტრალური ოღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი და სახალხო კომისართა საბჭო; დ) ყველა დანარჩენ თანამდებობის პირს — სათანადო დაწესებულების ან საწარმოს სათავეში მდგომი პირი და ორგანო, აგრეთვე ყველა ზემდგომი პირი და ორგანო.

შენიშვნა. ადგილობრივი საბჭოს ან ოღმასრულებელი კომიტეტის წევრი, რომელსაც ამავე დროს რაიმე თანამდებობა უქირავს სხვა დაწესებულებასა ან საწარმოში, სამსახურებრივი მცირე-დანაშაულისათვის პასუხს ავებს აგრეთვე საუწყებო ხელქვეითობის წესისამებრ.

15. საღისციპლინო გადასახდელად სხვა შესაფერ ან უფრო დაბალ თანამდებობაზე გადაყანის (მე-3 მუხ. „დ“ და „ე“ პუნქტი) გადაწევეტა საღისციპლინო მცირე-დანაშაულის საქმის განხილვის დროს შეუძლიან ხელქვეითობის წესისამებრ, მხოლოდ იმ პირს ან ორგანოს, რომელსედაც დამოკიდებულია ონიშნულ თანამდებობაზე დატკიცება ან დანიშვნა, აგრეთვე ზემდგომ პირს ან ორგანოს.

ხელქვეითობის წესისამებრ საქმის განხილვის დროს საღისციპლინო გადასახდელად თანამდებობიდან დათხოვნის გადაწყვეტა (3 მუხ. „ვ“ პუნქტ.) არ შეიძლება.

16. დადგენილება ხელქვეითობის წესისამებრ საღისციპლინო გადასახდელის დადების შესახებ შეიძლება განსაზღვრულ იქნეს ორი კვირის განმავლობაში დღიდან მისი გამოკხადებისა ბრალდებულისათვის, ხელქვეითობის წესით

უახლოესი ზემდგომი თანამდებობის პირის ან ორგანოს წინაშე, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოა.

საჩიტოს შეტანა შეაჩერებს გადასახდელის დადების შესახებ გამოტანილი დაგენილების აღსრულებას.

IV. სადისციპლინო გადასახდელის დადების საერთო წესის გამონაკლისი.

17. ამა დებულების წესი არა ვრცელდება ისეთ პირებზე, რომელნიც იხდიან სავალდებულო სამხედრო სამსახურს მუშათა და გლეხთა წითელი ორმის რიგებში, და მილიციისა, საპატიმრო ადგილებისა და გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამართველოს მომუშავეებზე, რომელთა დისციპლინარული პასუხისმგებლობა განისაზღვრება განსაკუთრებული კანონდებულებით. აღნიშნული წესი არა ვრცელდება აგრძელებული ისეთ შემთხვევაზედაც, როდესაც სადისციპლინო გადასახდელს ადგებს მუშათა და გლეხთა ინსპექტირა მისთვის მიკუთვნებული უფლების ფარგლებში.

28. დადგენილება ც. ა. ქ. და ს. ქ. ს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 46 მუხლის შევსების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10 თარიღისა და 77 ნომრის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ (კან. კრ. 1924 წ. 1 №-ი მუხ. 7) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 46 მუხლის 1 პუნქტს დაემატოს „რ“ ლიტერა შემდეგი შენაბარსისა:

„რ“ დოკუმენტს, რითაც დადასტურდება ავანის დაბრუნების გადის გადაცილება კომპერატიული ორგანიზაციის იმ კონტრაგენტის მიერ, რომელმაც აღნიშნული ორგანიზაციის შეკვეთით იკისრა განსაზღვრული პროცესურული მოქება თავის მეურნეობაში (კონტრაქტაციის ხელშეკრულება), იმ პირობით კი, რომ სათანადო ორგანიზაციის გამგეობაბ წარადგინოს: 1) ხელშეკრულების დედანი გამგეობის მიერ შემოწმებული ასლით, 2) კონტრაგენტის პირდან ანგარიშის და 3) ასლი გამგეობის დადგენილებისა პრეტრინზის აღსრულების წარწერის წესით გადასახდევინგბლად შიქვევის შესახებ“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური

აღმასრულ. კომიტეტის თავმჯდომარე ც. მახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს

თავმჯდომარის მრადვილე გ. მგალობლიშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ი. ვარძიელი.

29. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სასამართლოს წყობილების დებულებისათვის 106¹ მუხლის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური ოლმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენენ:

სასამართლოს წყობილების დებულების დაემატოს 106¹ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

მუხ. 106¹. უზენაესი სასამართლოს წევრის მოვალეობის შესასრულებლად, უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საკასაციო კოლეგიების შედგენილობაში, იუსტიციის სახ. კომისარისა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის შეთანხმებით, შეიძლება მივლინებულ იქნენ სახალხო მოსამართლენი, რომელთაც აქვთ სამსახურის სტაფი არა ნაკლებ ერთი წლისა.

სრულიად საქართველოს ცენტრალური ოლმას-
რულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე გ. მგალობლივილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური ოლმას-
რულებელი კომიტეტის მდივანი ი. გარძიელი.

1929 წ. იანვრის 23.

ტფილისი—სასახლე.

30. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

მიწის კოდექსის შეცვლისა და დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მეორე მოწვევის ცენტრალური ოლმასრულებელი კომიტეტის მეორე სესიის 1924 წლის მარტის 11-ს თარიღისა და 77 №-ის დადგენილების (კაბ. კრ. 1924 წ. 1 №-ი, მუხ. 7) მე-2 მუხლის წესისამებრ სრულიად საქართველოს ცენტრალური ოლმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენენ:

I

1. საქართველოს სსრ მიწის კოდექსის 19, 67 მუხლები, 37 მუხლის შენიშვნა, 106, 117, 126 და 145 მუხლები მიღებულ იქნეს შემდგიგი რედაქციით:

„მუხ. 19. ამა კოდექსით დაკანონებულ ნორმაზე მეტი მიწა უნდა ჩამოერთვას მიწის მოსარგებლეს და გადავიდეს სახელმწიფო საადგილმამულო ფონდში“.

„მუხ. 67. დაეტოვებათ ნახევარი მიწის ნორმა:

ა) ფიზიკური შრომის მუშებს, რომელიც ეჭვევიან წარმოებითი შრომას სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კერძო საწარმოსა და დაწესებულებაში, უკეთუ მათ გაწვეტილი არა აქვთ კუშირი თავისთ სასოფლო მეურნეობასთან;



ბ) სოფლის მასწავლებლებს, აგრონომებს, ვეტერინარებს და სათემო აღმა-სრულებელი კამიტეტების და სასოფლო საბჭოების თანამშრომელთ, უკეთუ მათ გაშეცვეტილი არა აქვთ კავშირი თავითი სასოფლო მეურნეობასთან და მსახურობენ იმავე რაიონებში, სადაც მათი მეურნეობაა“.

„73 მუხლის შენიშვნა. მიწის ხელახლი დაყოფისა და მიწათმოწყობის დროს ამხანაგობას დატოვება მის სარგებლობაში ქონებული მიწის რაოდენობა; თუნდაც ეს მიწა აღმიტებოდეს იმ რაოდენობას, რაც ამხანაგობას ამა კოდექ-სით დაკანონებული ნორმით (მუხ. 64) ერგება ამხანაგთა რიცხვის მიხედვით“.

„მუხ. 106. საბჭოთა მეურნეობა არის სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმო და თანაც სოფლის მეურნეობის სოციალისტური განვითარების ერთ-ერთი საფუძველთაგანი; იგი უნდა უჩენებდეს მის გარშემო მყოფ გლეხობას გა-უმჯობესებული ფორმებით მეურნეობის წარმოების მაგალითს, უწევდეს ხელ-მძღვანელობას და ეხმარებოდეს თავისი ტეხნიკური და კულტურული საშუალე-ბით, რითაც ხელს შევწყობს სოფლის მეურნეობის ზრდას, კომპერატიულად მოწყობას და კოლექტივიზაციას“.

„მუხ. 117. მიწათმოწყობა სწარმოებს საეალდებულო წესით საადგილმა-მულო რტგანოების თაოსნობით:

ა) როცა საჭიროა შეიქმნას ან შეიცალოს სპეციალური დანიშნულების საადგილმამულო ფონდი და ბ) როცა საჭიროა დაუყოვნებლივ მოისპონ ამა თუ იმ რაიონში მიწის სარგებლობის ისეთი ნაკლი, რაც განსაკუთრებული სიძლიე-რით ვნებს მეურნეობის განვითარებას, ამწვავებს საადგილმამულო ურთიერთო-ბას, აბრკოლებს სოფლის მეურნეობის კომპერატიულად მოწყობას და კოლექ-ტივიზაციას ან ხელს უწყობს მოსახლეობის კულაკურ ელემენტების მტაცებლურ მისწრაფებას; სხვა დანარჩენ შემთხვევაში მიწათმოწყობა სწარმოებს მხოლოდ დაინტერესებული მხარეების თხოვნით“.

„მუხ. 126. მიწათმოწყობი თრგანო უარს იტყვის მიწათმოწყობაზე, უკეთუ მხარე ითხოვს ისეთი მოქმედების შესრულებას, რაც კანონს ეწინააღმდევება, ან ხელს უწყობს კულაკურის ზრდასა და განმტკიცებას, ანდა, უკეთუ ეს, საერთოდ, სამეურნეო წარმოებითი მოსაზრებით, მიზანშეუწინელია.“

საჩივარს სამიწათმოწყობო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის გამო დაინტერესებული მხარე შეიტანს ორი კვირის ვადაზე მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საადგილმამულო საბჭოში“.

„მუხ. 145. მიწების დანაწილების დროს ჯერ დაკმაყოფილებულ უნდა იქ-ნენ სასოფლო-სამეურნეო კოლექტივები (კოლექტიური მეურნეობები), ულარიბესი მცირე ადგილმამულიანი მოსახლეობა და ყოფილი წითელგვარდიელებისა და წითელი პარტიზანებისა, აგრეთვე მათ შემდეგ დარჩენილი ოჯახების მეურნეო-ბები, შემდეგ საშუალო შეძლების მოსახლეობის მეურნეობები და ბოლოს იმ პირთა მეურნეობები, რომელთაც ჩამორთმეული აქვთ საარჩევნო უფლება; ამას-თანავე მკვიდრ მოსახლეობას უპირატესობა ეძლევა მოსულ მოსახლეობასთან შედარებით.“

მოსახლეობის აღნიშნულ ჯგუფებს, გასანაწილებელი მიწების ავკარგიანო-ბისა და მდებარეობის მიხედვით, აქვთ იგივე უპირატესობა, ე. ი. უფლება აქვთ

იმავე თანდათანობით მიიღონ უფრო უკეთესი და უფრო მარჯვედ მდებარე მიწები“.

2. საქართველოს სსრ მიწის კოდექსს დაემატოს 65 მუხლის შენიშვნა, 114¹, 115¹ და 123¹ მუხ. შენ-თურთ, 123² მუხლი შენიშვნებითურთ და 147 მუხლის შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„65 მუხლის შენიშვნა. იმ სოფელში, სადაც მიწის მოსარგებლენი უზრუნველყოფილ არიან, საშუალოდ, ამა კოდექსის 64 მუხლით დაკანონებულ ნორმაზე ნაკლები ნორმით, ყოფილ თავადებს, აზნაურებს და იმ მემამულეთ, რომელიც თავად-აზნაურთა წოდების არ კეთვნოდნენ, აგრძელე რელიგიური კულტის მსახურთ მიწა, ამა მუხლისამებრ, შეიძლება დაეტოვოთ მხოლოდ ისეთი რაოდენობით, რაც მიიღება, ამ სოფელში საკომლო სარგებლობისთვის გადაცემული მიწების საერთო სიცრცე სოფელში მოსახლე კომლთა საერთო რიცხვზე რომ გაიყოს“.

მუხ. 114¹. მიწათმოწყობამ ისე უნდა მოაწესრიგოს მიწის სიცრცე, რომ დაცულ იქნეს მოსახლეობის უფლება მიწათსარგებლობის ამა თუ იმ ფორმის თავისუფლად არჩევისა და ხელ შეუწყოს სოფლის მეურნეობის საერთო წარმატებას, კონპერატულად მოწყობას და კოლექტივიზაციას. კერძოდ, მიწათმოწყობამ ხელი უნდა შეუწყოს: ხარვეზობასთან, იდგილმამულის სიშორესთან და მიწათსარგებლობის სხვა ნაკლულოვანებასთან ბრძოლის, გაუმჯობესებული სახის თესლთა ბრუნვაზე გადასცლას, მიწის სანახების ძირითად გაუმჯობესებას, მიწაზე მეურნეობრივიად დამკვიდრებას განსახლებით და გადასახლებით და მეურნეობის სხვაგვარად გაუმჯობესებით.

მუხ. 115¹. მიწათმოწყობა საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობისა, აგრძელებული დაწესებულებებისა და საწარმოს საჭიროებათათვის სწარმოებს რიგს გარეშე. სხვა მიწათმოსარგებლეთა განცხადებით მიწათმოწყობა სწარმოებს პირველ რიგში, მათ შორის იმათოვის, ვინც გადადი მიწათსარგებლობის ისეთ ფორმაზე, რაც უფრო ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის კონპერატულად მოწყობას, კოლექტივიზაციას და ტხნიკური დონის წარმატებას; შემდეგ—ულარიბესი და ნაკლებალოვანი საშუალო მეურნეობებისათვის, აგრძელე ყოფილი წითელგვარდიელებისა და წითელი პარტიზანებისა და მათ შემდეგ დარჩენილი ოჯახების მეურნეობებისათვის; ბოლოს—მოსახლეობის შეძლებული ელემენტების მეურნეობებისათვის.

მუხ. 123¹. ულარიბესი, ნაკლებალოვანი საშუალო და კოლექტიურ მეურნეობათათვის მიწათმოწყობა სწარმოებს სახელმწიფოს ხარჯით. სხვა მიწათმოსარგებლეთათვის სამიწათმომწყობო მოქმედების შესასრულებლიდ იმ მხარეს, რომლის ინტერესებისათვისც სწარმოებს სამიწათმომწყობო მოქმედება, გადაპირდება განსაუკრებული სასყიდელი, რასაც სახალხო კომისართა საბჭო აწესებს.

შენიშვნა. სამიწათმოწყობო მოქმედების შესრულებისათვის შემოსული თანხები შეადგენს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სპეციალურ სახსარს, რის შექნა, შენახვა და ხარჯვა მოხდება იმ წესით, რაც გათვალისწინებულია ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. ნოემბრის 15-ის

დადგენილებით „სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა სპეციალურ სახსრის შესახებ“ (ა/ქსფსრ კან. ქრ. 1927 წ. 21 №-რი, მუხ. 242).

მუხ. 123². მიწათმოწყაბის მონაწილენი მოვალენი არიან მიუჩინონ მიწათმოწყობით: а) საცხოვრებლად და სამეცადინოდ გმოსაღევი საღვაომი გაობობით და განათებით; ბ) გეოდეზიური მუშაობისა და სამიჯნე ნიშნებისათვის საჭირო მასალა; გ) მუშაობის ადგილას ინსტრუმენტებისა და მასალის გადასაზიდავად საჭირო ზიდუხის საშუალებანი და და საჭირო მუშა-ძალა.

შენიშვნა. ამა მუხლში აღნიშნული ბეგარა განაწილდება მიწათმოწყობის მონაწილეთა შორის მათვეის მოწყობილი მიწის სიცრცის პროპრეციულად, მიწათმოწედების სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილი განსაკუთრებული წესების თანახმად³.

„147 მუხლის შენიშვნა. კულტურული მცენარეებით გაშენებული ნაკვეთის მიეჩინის დროს, ან ისეთი ნაკვეთისა, რომელშიაც მიწათმოსარგებლეს შეუტანია კაპიტალური გაუმჯობესება (ამონირევა, ქვების აკრეფა, პლანტაცია, დრენაჟი და სხვ.) უპირატესობა ეძლევა აღნიშნულ გაუმჯობესებათა შემტან ან კულტურული დამუშავების მწარმოებელ მოსარგებლეს, ხალო უკეთუ ეს არ დაუშლის სწორე და რაციონალურ მიწათმოწყობას“.

3. საქართველოს სსრ მიწის კოდექსიდან ამოიშალოს 127 მუხლის შენიშვნა (სრულიად საქართველოს ცენტრალური ორგანიზაციის 1926 წ. თებერვლის 10-ს თარიღისა და მე-10 №-ის დადგენილების რედაქციით—კან. ქრ. 1926 წ. 1 №-ი, მუხ. 10).

4. საქართველოს სსრ მიწის კოდექსის 145 მუხლის შენიშვნა გაუქმებული იქნება.

II.

წინადადება მიეცეს მიწათმოწედების სახალხო კომისარიატს გამოსცეს ორი კიორის ვადაზე ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის და გააუქმოს ყველა ის ინსტრუქცია და ცირკულიარული განკარგულება, რაც მიწის კოდექსში შეცვლილ და შეტანილ მუხლებს ეწინააღმდეგება.

სრულიად საქართველოს ცენტრალური ორგანიზაციის კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კიმისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე გ. მგალობლივილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური
ორგანიზაციების კომიტეტის მდივანი ი. ვარძიელი.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

31. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. ტ. ს.

„სახელმწიფო საფინანსო კონტროლის მიერ სათემო სარევიზიო კომისიებისათვის ხელმძღვანელობის გაწევისა და მათთან საქმიანი კავშირის დებულების“ დამტკიცებისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატთან ინსტრუქტორთა შტატის დაარსების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულება „სახელმწიფო საფინანსო კონტროლის მიერ სათემო სარევიზიო კომისიებისათვის ხელმძღვანელობის გაწევისა და მათთან საქმიანი კავშირის შესახებ“.

2. სახელმწიფო საფინანსო კონტროლსა და სათემო სარევიზიო კომისიებს შორის საქმიანი კავშირის დასმყარებლად ფინანსთა სახალხო კომისარიატის სახელმწიფო საფინანსო კონტროლის სამართველოსთან დაარსებულ იქნეს ინსტრუქტორთა აპარატი სათანადო წესით დამტკიცებული შტატების მიხედვით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე გ. მგალობლიუმფილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მაგიერ ბ. ფალავა.

1929 წ. დეკემბრის 28.

ტფილისი—სასახლე.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო საფინანსო კონტროლის მიერ სათემო სარევიზიო კომისიებისათვის ხელმძღვანელობის გაწევისა და მათთან საქმიანი კავშირის შესახებ.

1. სათემო სარევიზიო კომისიებისათვის ხელმძღვანელობის გაწევა, რაც დაისრებული იქვს სახელმწიფო საფინანსო კონტროლს და მათთან საქმიანი კავშირი განხორციელდება სახელმწიფო საფინანსო კონტროლის ორგანოების მიერ როგორც უშუალოდ, ისე სამაზრო საფინანსო განყოფილებთა გამგებისა ან ადგილობრივი ფინანსების ქვე-განყოფილებათა გამგების მეშვეობით.

2. სახელმწიფო საფინანსო კონტროლის ორგანოთა უშუალო ხელმძღვანელობა და საქმიანი კავშირი განხორციელდება: ა) ადგილებზე მივლინებით რევიზიის მოსახლენად (შერჩევით) სათემო სარევიზიო კომისიის წევრებთან ერთად, ბ) სათემო სარევიზიო კომისიების წარმომადგენელთა სამაზრო თათბირებში მონაწილეობის მიღებით და გ) სარევიზიო კომისიების აქტების შესწავლით და მათ შესახებ დასკვნის მიცემით.

3. სამაზრო საუინანსო განყოფილების ან ადგილობრივი ფინანსების ქვე-განყოფილების გამგეებს დაკისრებათ მუდმივი მეთავლურეობა სათემო სარე-ვიზიო კომისიების შეშაობისათვის, რასაც ისინი ანხორციელებენ ფინანსთა სა-ხალხო კომისიარიატის საფინანსო-საკონტროლო სამმართველოსაგან მიღებული სახელმძღვანელო განმარტებებისა და დირექტივების დაგზავნით და აგრეთვე ადგილებზე გამგზავრებით სარევიზიო კომისიების წევრებისათვის უშუალო ინ-სტრუქტიობის გაწევისა და მათთან უშუალო თანამშრომლობისათვის რევიზიის დროს.

4. სამაზრო საფინანსო განყოფილების ან ადგილობრივი ფინანსების ქვე-განყოფილების გამგები წარუდგენენ პერიოდულად საფინანსო-საკონტროლო სამმართველოს, მის მიერ დაწესებული ფორმით, ანგარიშს თავიანთი მოქმედე-ბის შესახებ სარევაზიო კომისიებისათვის ხელმძღვანელობის გაწევის სფეროში.

5. საანგარიშო მოხსენება-აქტს რევიზიის შედეგების შესახებ, სათემო სა-რევიზიო კომისია წარუდგენს კორექტივისათვის სამაზრო საფინანსო განყოფი-ლებას ან ადგილობრივი ფინანსების ქვე-განყოფილებას, რომელნიც თავისი მხრით შეკითხვის საშუალებით, მიღებენ საფინანსო-საკონტროლო სამმართვე-ლოსაგან სათანადო დირექტივს და განმარტებას რევიზიასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე.

6. სათემო სარევიზიო კომისია აქტს შეადგენს სამ ცალად: ერთი გადაე-ცემა სათემო იღმასარულებელ კომიტეტს, ხოლო ორი ცალი გაეგზავნება სა-მაზრო საფინანსო განყოფილებას, რომელიც თავისი მხრით, ერთ ცალს გაუგ-ზავნის საფინანსო საკონტროლო სამმართველოს ცნობად.

7. სამაზრო საფინანსო განყოფილება და ადგილობრივი ფინანსების ქვე-განყოფილება თვალურს აღევნებენ, რათა სათემო ორგანოებმა შეასრულონ სა-რევიზიო კომისიებისა და სახელმწიფო საფინანსო კონტროლის დირექტივები, რაც რევიზიის შედეგად იქნება გაცემული.

8. საფინანსო საკონტროლო სამმართველო მოიწვევს პერიოდულად სათემო სარევიზიო კომისიების წარმომადგენელთა სამაზრო თათბირებს. ამ თათბირებზე შემუშავდება გეგმები და მეოროდები ქვედა აპარატის საფინანსო-სამეურნეო საქ-მიანობის რევიზიისათვის, მოხდება თათბირის წევრთა შორის სარევიზიო პრაქ-ტიკით შეძნილი გამოცდილების გაზიარება და სახელმწიფო-საფინანსო კონტ-როლის მიერ ფართო ინსტრუქტიონის გაწევა სარევიზიო კომისიების წარმო-მადგენლებისათვის საკონტროლო სარევიზიო ტეხნიკის ყველა საკითხის გამო:

9. საფინანსო-საკონტროლო სამმართველო შეიმუშვებს სპეციალურ სამუ-შაო, პროგრამებს სათემო იღმასარულებელი კომიტეტების ცალკე დაწესებულე-ბათა რევიზიისათვის, აგრეთვე საჭირო ინსტრუქტიონისა და ცირკულიარებს და, საფინანსო განყოფილებათა მეშვეობით, მიაწვდის სახელმძღვანელოდ სათემო სარევიზიო კომისიებს.

32. დ ა დ გ მ 6 0 ლ მ ბ ა ს . კ . ს.

საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების გადიდების აკრძალვის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აღეკრძალოს სახელმწიფო და ოდგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ ყველა უწყებასა და დაწესებულებას სათანადო ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული საოპერაციო ხარჯების სახარჯთაღრიცხვო დანაყოფიდან კრედიტის გადანაცვლება საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების სახარჯთაღრიცხვო დანაყოფში.

2. აღეკრძალოს აღნიშნულ უწყებათ და დაწესებულებათ სპეციალური წყაროებიდან (სპეციალური და ბიუჯეტ-გარეშე სახსარი) საადმინისტრაციო საგამგებლო ხარჯების დასაფარავად სახსრის გამოყენება, გარდა საკანონმდებლო წესით ნებადართული ხარჯებისა.

3. აღეკრძალოს სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ უწყებათ და დაწესებულებათ, აგრეთვე ოდგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებსა და საბჭოებს შუამდგომლობის აღძრა სადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯებისათვის დამატებითი ასიგნის გადადების შესახებ სახელმწიფო და ოდგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებული თანხის ზედმეტათ.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატებს, 1928-29 საბიუჯეტო წლის სახელმწიფო და ოდგილობრივი ბიუჯეტების აღსრულების დროს, დაამყარონ სისტემატიური მეთვალყურეობა, რათა საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების საერთო თანხა არ აღემატოს 1928-29 წლის ბიუჯეტით დამტკიცებულ რაოდენობას.

5. დაევალოს იმავე ორგანოებს დაამყარონ მეთვალყურეობის წესი ამა დადგენილების განხორციელებისათვის.

6. დადგენილება ესე გავრცელებულ იქნეს აფხაზეთის სსრ-კასა, აჭარის-ტანის სსრ-კასა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქებე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
 თავმჯდომარის მოადგილე გ. მგალობლივილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
 საქმეთა მართველი პ. მეგრელიშვილი.

1929 წ. იანვრის 8.
 ტფილისი—სასახლე.

33. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. კ. ს.

რესპუბლიკანურსა და ადგილობრივ ბიუჯეტში ჩასარიცხ გადასახადთა და გამოსაღებთა გადახდის სფეროში ზოგიერთ ორგანიზაციისათვის შედავათების მინიჭების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

1. სახელმწიფო სამთო და სამთო-სამრეწველო საწარმოთათვის უკვე აღმოჩენილი მაღნეულობის საბაზო ადგილებისა და წინანდელი მუშაობისაგან დარჩენილი ნაყარის (სსრკ სამთო დებულების 87 მუხ. —სსრკ კან. კრ. 1927 წ. 68 №-ი, მუხ. 688) გადაცემის ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებისათვის სანოტარო გამოსაღები გადახდევინებულ უნდა იქნეს ხელშეკრულების საერთო თანხის $\frac{1}{16}$ $\frac{9}{10}$ -ს რაოდენობით, რასაც დაერტყება ა/კსტრ ადგილობრივი ფინანსების დებულების (ა/კსტსრ კან. კრ. 1926 წ. მე-8 №-რი, მუხ. 697/24 მუხ-ლის „ე“ პუნ. დაშესტული ზედნართი ადგილობრივ სახასართა სასარგებლოდ.

შენიშვნა. აღნიშნული გამოსაღებისა და მისი ადგილობრივი ზედნართის გადახდა, სამაზრო საფინანსო განყოფილების ნებართვით, შეიძლება განაწილებულ იქნეს მთლად ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში, იმ პირობით-კი, რომ ეს გამოსაღები შეიტანებოდეს ყოველწლობით და წლიურად შესატანი ნაწილი ამ გამოსაღებისა პროპრიეტატ შესაბამებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ წლიურად გადასახდელ თანხას.

2. განთავისუფლებულ იქნეს სასამართლოს ბაჟისა და სასაპართოო საქმეების ყოველგვარი გამოსაღებისაგან სოციალური დაწლვევის ორგანოები.

3. განთავისუფლებულ იქნეს სანოტარო გამოსაღებისა და მისი ადგილობრივი ზედნართისაგან:

ა) სოფლის მეურნეობის ელექტროფიკის საჭიროებისათვის დადებული ხელშეკრულება —ყოველგვარი ძრავისა, ელექტრო-მანქანისა, ხელსაწყოს და მასალის ყიდვა-მიწოდების თაობაზე, რაც საჭირო იქნება ელექტრო-სადგურებისა, ქვე-სადგურებისა, ელექტრო-გადაცემისა და მაღალი და დაბალი დაბადულობის ქსელის მოსაწყობად, აგრეთვე ელექტრო-ენერგიის მომხმარებლების დენის-მიმღებთა მოსაწყობად სოფლის მოსახლეობის სამურნეო, სამრეწველო და კულტურულ საჭიროებისათვის ლა ისეთ წერილ სამეურნეო საწარმოთათვის, რომელნიც სოფლის მეურნეობის პროცესების პირველადი სახის გადამუშავებას აწარმოებენ, ან ზინამრეწველობას მისდევენ;

ბ) წინა მუხლში აღნიშნულ ელექტრო-დანადგამთა აგებისა და გაწყობის ნარდათ მუშაობის სახით გაცემის თაობაზე დადებული ხელშეკრულება;

გ) სასოფლო-სამეურნეო ელექტროფიკის საჭიროებისათვის ელექტრო-დანადგამების აგებისა და გაწყობის თაობაზე დადებული საკრედიტო გარიგება.

4. დაეტოვოს ქვემოდ დასახელებულ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს ქვემოდვე აღნიშნული საგადასახადო შედეგათები, რაც წინად გათვალისწინებულ იყო იმ საერთო-საქართველოს საკანონმდებლო აქტებით, რომლებიც ძალადაკარგულ აქტებად არიან ცნობილი სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლ. ივლისის 25-ს დადგენილებით „ზოგიერთ საგადასახადო კანონთან დაკავშირებით სსრკ-ის კანონმდებლობაში ცვლილებათა შეტანის შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1928 წ. 45 №-ი, მუხ. 403):

ა) განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის საბავშვო დაწესებულებებთან არსებულ დამხმარე სახელოსნოებს, რომლებშიაც გამოიყენება, მხოლოდ ამ დაწესებულებათა მოწაფეების შრომა და რომლებსაც მთლად თავითნო პროდუქციის გასასალებლად არა აქვთ განსაკუთრებული სავაჭრო საწარმონი—განთავისუფლება ყველა იმ გადასახადისა და გამოსალებისაგან, რის შემოსავალიც რესპუბლიკანურ ბიუჯეტში მიიქცევა;

ბ) სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამართლელოებს—განთავისუფლება სასამართლო ბაჟისა და სასამართლოს ხარჯისაგან; ადგილობრივი გადასახადისაგან მათ კუთვნილ შენობებზე, რომლებიც მდგრადი კურორტის ტერიტორიაზე ამ სამოთ-სასანიტარო დაცვის ლექის ფრაგლებში და რომელთა ექსპლოატაციასაც კურორტები უშუალოდ ეშვერიან, იჯარით გაუცემლად; აგრეთვე ადგილობრივი გადასახადისაგან მათ კუთვნილ საურანსპორტო საშუალებებზე, რაც მომსახურეობას უწევს კურორტების საწარმოთ და აეთდებოფთა გადაყვანის საქმეს;

გ) მოხალისე სახანძრო ორგანიზაციებს—განთავისუფლება სანახაობისა და გასართობის ადგილობრივი გადასახადისაგან მათ მიერ კერძო მეწარმის უმონაწილეოდ, გამართული წარმოდგენებისა, კონცერტებისა, სალამოებისა და სხვ., რის შემოსავალიც მიქცეულია ამ ორგანიზაციების აპარატის სათანადო შენახვისათვის საჭირო სახსრის მოსაპოებლად; აგრეთვე განთავისუფლება პლაკტებისა, აფიშებისა, რეკლამებისა და განცხადებების ადგილობრივი გადასეხადისაგან აღნიშნულ სანახაობათა პლაკატებისა, აფიშებისა, რეკლამებისა;

დ) წყალში დალუპვისაგან გადამრჩენ მოხალისე საზოგადოებათ—განთავისუფლება ყველა ადგილობრივი გადასახადისა და გამოსალებისაგან ამ ორგანიზაციების ქონებისა, რაც ხელს უწყობს და საქართველოსატაციოდ გამოიყენება წყალში დალუპვისაგან გადარჩენის მიზნით; განთავისუფლება სანახაობისა და გასართობის ადგილობრივი გადასახადისაგან ამ ორგანიზაციების მიერ, კერძო მეწარმის უმონაწილეოდ, გამართული წარმოდგენებისა, კონცერტებისა, სალამოებისა და სხვ., რის შემოსავალიც მიქცეულია წყალში დალუპვისაგან გადარჩენის საქმის საქმისათვის საჭირო სახსარის მოსაპოებლად; აგრეთვე განთავისუფლება პლაკატებისა, აფიშებისა, რეკლამებისა და განცხადებების ადგილობრივი გადასახადისაგან იმ პლაკატებისა, აფიშებისა, რეკლამებისა და განცხადებებისა, რაც გამოშვებულ იქნება წყალში დალუპვისაგან გადარჩენის საქმის იდეების პროცეს განდის მიზნით;

ე) გლეხთა ურთიერთი დახმარების საზოგადოებათ—განთავისუფლება სა-
სამართლო ბაჟისაგან.

5. დაევალოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს გამოსცეს ერთი თვის ვა-
დახე ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე გ. მგალობლიშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მაგიერ ბ. ფალავა.

1929 წ. იანვრის 8.
ტფილისი—სასახლე.

34. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. კ. ს.

„სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოს მიერ უმაღლეს სახ-
წავლებელთა მოსწავლეთათვის დანიშნული სტიპენდიების მათვისვე დატო-
ვების თაობაზე“ 1927 წ. სექტემბრის 10-ს თარიღით გამოცემული საქართვე-
ლოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების გაუქმების შესახებ.

თანახმად სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ნოემბრის 19-ს
დადგენილებისა (მუხ. 2), რომლითაც გაუქმებულ იქნა ამავე სახალხო კომისართა
საბჭოს 1927 წ. თებერვლის 17-ს თარიღით გამოცემული დადგენილება „უმაღ-
ლესი სასწავლებლების მოსწავლეთათვის სახელმწიფო საწარმოთა მიერ დანიშ-
ნული სტიპენდიების შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1928 წ. № 67, მუხ. 616) საქარ-
თველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

გაუქმებულ იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ.
სექტემბრის 10-ს დადგენილება „სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებისა და
საწარმოს მიერ უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეთათვის დანიშნული სტიპენ-
დიების მათვისვე დატოვების შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ. 1927 წ.
№ 9, მუხ. 137).

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე გ. მგალობლიშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე ს. სტეფანოვი.

1929 წ. იანვრის 15.
ტფილისი—სასახლე.

35. დ ა დ გ ვ ე ნ ი ლ ე ბ ა ს . ქ . ს.

ტუილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოც.-ეკონომიური ფაკულტეტის მე-8 სემესტრის სტუდენტების (ეკონომისტების) წარმოებითი სწავლისათვის დაწესებულებასა და საწარმოში მიღების შესახებ.

ტუილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების სამეცნიერო-ტეორეტიულ მომზადებასთან დაკავშირებით, წარმოებითი სწავლებისათვის და თანახვად სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. ივნისის 14-ს დადგენილებისა (სსრკ კან. ქრ. 44 №-რი, მუხ. 320) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მომქმედ ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კოოპერატიულ დაწესებულებასა და საწარმოს, აგრეთვე შერეულ სააქციო საზოგადოებას მიიღოს სამუშაოზე, წარმოებითი სწავლებისათვის, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მივლინებული სოც.-ეკონომიური ფაკულტეტის მე-8 სემესტრის სტუდენტები (ეკონომისტები) შემდეგ საფუძველზე.

2. სტუდენტები მიიღონებიან მე-8 სემესტრის განმავლობაში, ყოველი წლის, თებერვლის 1-დან ივნისის 1-მდე.

შენიშვნა. თოითეულ ცალკე დაწესებულებაში და საწარმოში მისავლინებულ სტუდენტთა რიცხვი შეთანხმებულ უნდა იქნეს დაწესებულებასა და საწარმოსთან.

3. დაწესებულებასა და საწარმოში შესრულებული სამუშაოსათვის სტუდენტები არყოთარ გასმოჩეულოს არ ილებენ.

შენიშვნა. ამა მუხლის წესი არ შეეხება იმ სტუდენტ-პრაქტიკანტებს, რომელნიც სამუშაოზე მიიღებიან სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. ივნისის 14-ს დადგენილების 1-3 მუხ. წესისამებრ (სსრკ კან. ქრ. 1926 წ. 44 №-რი, მუხ. 320).

4. დაწესებულებისა და საწარმოს აღმინისტრაცია მოვალეა სტუდენტის შრომა ისე გამოიყენოს, რომ მას შეეძლოს შეისწავლოს ის პირობები, რომლებშიაც მოუმავალში მოუხდება მუშაობა.

5. მივლინებული სტუდენტები, ყველა სხვა თანამშრომლის თანაბრად, ემორჩილებიან დაწესებულებისა თუ საწარმოს შინაგანრიგების წესს.

6. სტუდენტები შეასრულებენ სამუშაოს იმ პროგრამით, რასაც შეიმუშავებს ტუილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოც.-ეკონომიური ფაკულტეტი დაინტერესებული დაწესებულებისა და საწარმოს წარმომადგენელთა მონაწილეობით. პროგრამით გათვალისწინებულ უნდა იქნეს ერთი სახის სამუშაოდან მეორე სახის სამუშაოზე ისეთი ვარაუდით გადასვლა, რომ სტუდენტს შეეძლოს გაეცნოს დაწესებულებისა თუ საწარმოს ორგანიზაციისა და მუშაობის ტენიკას მთლიანად.

7. დაწესებულებასა და საწარმოში სტუდენტებს გაანაწილებს აღმინისტრაცია, რომელიც განსაზღვრავს თვითეული სტუდენტისათვის სამუშაოს ხასიათსა და მუშაობის წესს წარმოებითი პროგრამისა და დაწესებულებისა თუ საწარმოს შესაძლებლობის მიხედვით.

ერთი სამუშაოდან მეორე სამუშაოზე სტუდენტებს გადაიყვანს დაწესებულებისა თუ საწარმოს აღმინისტრაცია ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოც.-ეკონომიკური ფაკულტეტის წარმომადგენელთან, შეთანხმებით.

8. მეთვალყურეობის გასაწევად იმისათვის, რომ დაწესებულებასა და საწარმოში სტუდენტების სუვალება შემუშავებული პროგრამის მიხედვით სწარმოებს, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოც.-ეკონომიკური ფაკულტეტი დანიშნავს პროფესიონალთა და გასუვალებელთა წრიდან ხელმძღვანელთ, რომელიც მოვალენი არიან იარონ პერიოდულად სათანადო დაწესებულებასა და საწარმოში, განსაზღვრონ, დაწესებულებისა თუ საწარმოს აღმინისტრაციასთან ერთად, მიელინებული სტუდენტების შრომის გამოყენების ფორმები და აძლიონ სტუდენტებს, მათი სამუშაოს მიხედვით, სათანადო განმარტებანი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე გ. მგალობლივილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმითა მმართველის მოადგილე ს. სტეფანოვი.

1929 წ. იანვრის 29.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 25 №-ში 1929 წ. თებერვლის 1.

36. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. ქ. ს.

საქართველოს სსრ-ში ავტომობილიზმისა და გზათა გაუმჯობესების ხელის-შემწყობა საზოგადოების („ავტოგზა“) ადგილობრივი გადასახადისა და გამოსალებისაგან, ავტოგზე სასამართლო ბაჟისა და სანოტარო გამოხალებისაგან განთავისუფლების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ-ში ავტომობილიზმისა და გზათა გაუმჯობესების ხელის-შემწყობა საზოგადოება („ავტოგზა“), მისი ადგილობრივი ორგანიზაციები და ყველა მისი კუთხითი ან მის მიერ იჯარით აღებული საწარმო (გარაჟი, სახელოსნო, გამომცემლობა და სხვ.), უკეთუ ეს საწარმონი მის მიერ გამოიყენება უშუალოდ, იჯარით გაუცემლად, განთავისუფლებულ იქნეს ყველა ადგილობრივი გადასახადისა და გამოხალებისაგან.

2. იგივე საზოგადოება განთავისუფლებულ იქნეს:

ა) სასამართლო ბაჟისაგან;

ბ) სანოტარო გამოსაღებისაგან ყველა ხელშეკრულებისა, გარიგებისა და დოკუმენტისათვის, რაც დაიდება საზოგადოების წესდებით გათვალისწინებული მიზნების განსახორციელებლად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თაგმჯდომარის მოადგილე გ. მგალობლიშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მაგიერ ბ. ფალავა.

1929 წ. იანვრის 29.
ტფილისი—სასახლე.
